# საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

## ბრძანება № 695

თბილისი „28“ 05 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N412 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობა“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N 468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“, „ლ“ და „შ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსისათვის/უფროსის ფუნქციათა შემსრულებლისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 სექტემბრის N242 ბრძანების პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, „ა.ნ“ ქვეპუნქტის, „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N 71 ბრძანების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N412 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების

საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობის“ ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N595 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 14 მაისის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 20 მაისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 21 მაისის N602182 მოხსენებითი ბარათის და „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N412 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს რეგიონებში თბილისის თეატრების საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობა“ გამარჯვებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 მაისის N 681 ბრძანების გათვალისწინებით

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N 71 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი - 32 10 02) ასიგნებების შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს:

ა) 8 010 (რვა ათას ათი) ლარით სსიპ „ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ასიგნებები - „გასტროლები საქართველოს რეგიონებში“ განხორციელების მიზნით;

ბ) 17 350 (ჩვიდმეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარით სსიპ „თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ასიგნებები - „გასტროლები რეგიონებში“ განხორციელების მიზნით;

გ) 19 460 (ცხრამეტი ათას ოთხას სამოცი) ლარით სსიპ „თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ასიგნებები - „ტურნე რეგიონებში“ განხორციელების მიზნით;

დ) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით სსიპ „ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრის „აფხაზეთის“ ასიგნებები - „ჩრდილების თეატრის სპექტაკლები ზემო და ქვემო რაჭაში“ განხორციელების მიზნით;

ე) 15 850 (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარით სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ასიგნებები - „მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში“ განხორციელების მიზნით;

ვ) 14 330 (თოთხმეტი ათას სამას ოცდაათი) ლარით სსიპ „ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ასიგნებები - „საგასტროლო ტურნე რეგიონებში“ განხორციელების მიზნით;

ზ) 10 000 (ათი ათასი) ლარით სსიპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ასიგნებები - „საგასტროლო ტურნე საქართველოს 3 რეგიონში“ განხორციელების მიზნით.

2. დაევალოს:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს - ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ორგანიზაციებთან თანხის გამოყოფისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტს - პროექტების განხორციელების კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი მარიამ ტაბატაძე